ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

# დადგენილება N15

01 ივლისი 2024 წელი

---

დ.ხარაგაული 56-00
9 აპრილის ქუჩა #15

**„ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N 16 დადგენილებაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე

**ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:**

**მუხლი 1.** შეტანილ იქნეს ცვლილება „ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის №16 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 14/04/2015, სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.128.016217).

1.შეტანილ იქნეს ცვლილება, დადგენილების პირველი მუხლის მე-3 პუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„3. სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი

ა) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები,რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელებისა, თუ ასეთი ნებართვა მიღებული არ არის სამორინის მოწყობის ნებართვის ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე).

ბ) სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის განაკვეთების დიფერენცირება მოხდეს სათამაშო ბიზნესის სახეობების მიხედვით და განისაზღვროს:

ბ.ა) თითოეულ სამორინეს მაგიდაზე-კვარტალში 20 000 ლარი.

ბ.ბ) თითოეულ სათამაშო აპარატზე-კვარტალში 2 000 ლარი.

ბ.გ) თითოეულ წამახალისებელ გათამაშებაზე-საპრიზო ფონდის 10%

გ) სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებულ თამაშობებზე განისაზღვროს:

გ.ა) სამორინის თამაშობებზე -კვარტალში 250 000 ლარი.

გ.ბ) სათამაშო აპარატების თამაშობებზე-კვარტალში 250 000 ლარი.

გ.გ) ტოტალიზატორის თამაშობებზე-კვარტალში 250 000 ლარი.

დ) ლატარიების მოწყობაზე-ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობიოს 10%.

ე) აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვით ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის თითოეულ სალაროზე-კვარტალში 1500 ლარი.

ვ) თითოეულ კლუბის მაგიდაზე-კვარტალში 5 000 ლარი.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2024 წლის 1 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე